საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №143
2017 წლის 21 აპრილი

ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)“-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „კარი IV“-ის „ჯგუფი 24“-ის 2403 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. „კარიVI“-ის „ჯგუფი 38“-ის 3824 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. „კარი XVII“-ის „ჯგუფი 87“-ის 8703 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებლი **გიორგი თაბუაშვილი**